დაცული ტერიტორიების როლი ტურიზმის სფეროში - ეკოტურიზმი

გიორგი მჭედლიშვილი
ელ-ფოსტა: giorgi.mchedlishvili144@gmail.com
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზირი #3

მსოფლიო მასშტაბით ბუნებრივი ტერიტორიების დაცვას სახელმწიფო უწყებებთან შეთანხმებით უზრუნველყოფენი საერთაშორისო ორგანიზაციები. მათგან აღსანიშნავია: 1) ბუნების კონსერვაციის/დაცვის საერთაშორისო კავშირი. 2) გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო). ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ბუნების დაცული ტერიტორიების საერთაშორისო კლასიფიკაცია, რომელიც 6 კატეგორიისგან შედგება: I. A) სახელმწიფო ნაკრძალი, B) უკაცრიელი ტერიტორია; II. ეროვნული პარკი; III. ბუნების ძეგლი; IV. აღკვეთილი; V. დაცული ლანდშაფტი; VI. მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტეროტორია.

ტურიზმის განვითარება შესაძლებელია I კატეგორიის გარდა ყველა ტიპის დაცულ ტეროტორიებზე. ტურიზმის სფეროში გამოყენებად დაცულ ტეროტორიებს შორის ყველაზე დიდი ისტორია გააჩნია ეროვნულ პარკებს. მსოფლიო გამოცდილებისა და ისტორიის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოვყოთ ეროვნული პარკების შექმნის სამი ტენდენცია: 1) ეროვნული პარკების შექმნა სპეციალურად ტურიზმის განვითარებისა და დასვენებისთვის (ჩრდ. ამერიკა); 2) ეროვნული პარკის სტატუსის მინიჭება იქ, სადაც უკვე არსებობდა ტურისტული მარშრუტები (ევროპა); 3) დაცული ტეროტორიების შექმნა უშუალოდ სამეცნიერო და ბუნებისდაცვითი მიზნისთვის (ნაკრძალი) და მის ირგვლივ ან მიმდებარედ მყოფ ტეროტორიაზე ტურისტული მიზნებისთვის ეროვნული პარკის ან აღკვეთილის სტატუსის მინიჭება (პოსტ საბჭოთა ქვეყნები). კომპლექსური კულტურულ-ესთეტიური ტურების განვითარებასთან ერთად სულ უფრო პოპულარული ხდება IUCN-ის V კატეგორიის დაცული ტეროტორია - **დაცული ლანდშაფტი**.

ბიოსფერული რეზერვატი — დაცული ტერიტორია, რომელიც იქმნება მოცემულ რეგიონში ბუნებრივი ეკოსისტემისა და გენოფონდის შენარჩუნების, მასში და მის ირგვლივ არსებული ბუნებრივი გარემოს შესწავლისა და მონიტორინგის მიზნით. ბიოსფერული რეზერვატი იქმნება იუნესკოს ეგიდით საერთაშორისო და ეროვნული პროგრამის საფუძველზე. ბიოსფერულ რეზერვატებს სამი ზონა გააჩნია: ა) ძირითადი ნაწილი - მკაცრი დაცვის ზონა; ბ) ბუფერული ზონა, რომელიც ძირითადი ნაწილის გარშემო მდებარეობს; გ) შუალედური ზონა, სადაც მოქმედების ყველაზე დიდი არეალი არსებობს ადამიანის ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და ეკოლოგიურად მდგრადი განვითარებისათვის. ტერმინ „ეკოტურიზმის“ მრავალმხრივი განმარტება არსებობს, ყველაზე ოპტიმალურად შეგვიძლია „მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის“ (UNWTO) განმარტება მივიჩნიოთ: „ეკოტურიზმი - ეს არის გონივრული მოგზაურობა ბუნებრივ ტეროტორიაზე, ადგილობრივი კულტურისა და ბუნებრივი გარემოს უფრო ღრმა შეცნობის მიზნით, რომელიც ეკოსისტემას არ აზიანებს, ამასთანავე გარემოს დაცვას ხდის მომგებიანს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.“